საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მელიქიშვილი ნიკოლოზ მიხეილის ძე



ნ. მელიქიშვილი

მელიქიშვილი ნიკოლოზ მიხეილის ძე (1869, თბილისი, - 1937, იქვე), ექიმი (გინეკოლოგი), საზოგადო მოღვაწე. სწავლობდა თბილ. ვაჟთა I გიმნაზიაში, 1891-94 დაამთავრა ვარშავის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი, 1894-1900 - იურიევის (ტარტუ) უნ-ტი. 1902 ბაქოში იყო ქალაქის ექიმი და ლაზარეთის გამგე. ქ. შემახაში დააარსა ამიერკავკასიაში პირველი სამაზრო საავადმყოფო. 1905 კვალიფიკაცია აიმაღლა ევროპასა და რუსეთში. მუშაობდა პარიზის, ბერლინის, ვარშავის, პრაღის, ბრესლაუს (ვროცლავი), სანლუის კლინიკებში, პეტერბურგის სამეანო-გინეკოლოგიურ ინ-ტში. შვეიცარიასა და ფინეთში შეისწავლა კურორტოლოგიის საქმე. 1908 მ. საკუთარი სახსრებით ქსენიას (იმპერატორ ნიკოლოზ II-ის და) ქუჩაზე (ახლანდ. ზ. ჭავჭავაძის ქუჩა) გახსნა თბილისის კერძო სამკურნალო 50 საწოლით და ამბულატორიით.

მ. იყო თსუ-ის სამეანო გინეკოლოგიური კლინიკის პირველი ასისტენტი. ი. თიკანაძესთან ერთად ითვლება ამ კლინიკის დამაარსებლად. იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი და კავკასიის ექიმთა საზ-ბების წევრი, 1918-21 - ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზ-ბის საკურორტო-ბალნეოლოგიური სექციის თავ-რე. 1922 იყო კურ. კოჯრის დირექტორი, 1923-28 - პატარა ცემის, წაღვერისა და აბასთუმნის სანატორიუმების მთ. ექიმი. მ-მა მდიდარი ბიბლიოთეკა უსახსოვრა ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზ-ბას.

ლიტ.: ნ უ ც უ ბ ი ძ ე ს., ღვაწლი, არც თუ დაფასებული, თბ., 1990; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი დ., ნიკოლოზ მელიქიშვილი, "საბჭოთა მედიცინა", თბ., 1960, #3.

ს. ნუცუბიძე